"განათლების ინტერნაციონალი" პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს სრულ მხარდაჭერას უცხადებს

11:25 30-10-2013

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმთპ) წინააღმდეგ დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოში განსახილველ სარჩელთან დაკავშირებით "განათლების ინტერნაციონალი" (EI) პროფკავშირს სრულ მხარდაჭერას უცხადებს.

"განათლების ინტერნაციონალის" (EI) განცხადებას საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი ავრცელებს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ სამი წლის წინ, 2010 წლის 30 ოქტომბერს სპმთპ-ის რიგგარეშე საარჩევნო ყრილობა გაიმართა და მის პრეზიდენტად, სპმთპ-ის წესდების შესაბამისად, მაია კობახიძე აირჩიეს.

"2010 წლის 30 ოქტომბერს ყრილობას "განათლების ინტერნაციონალის" დამკვირვებლებიც ესწრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მტკიცებულება ადასტურებს არჩევნები მასწავლებელთა პროფკავშირის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნების დაცვით ჩატარდა, სასამართლოში შეტალი იქნა დაუშვებელი სარჩელი. 2012 წლის 25 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლომ აღიარა არჩევნების ლეგიტიმურობა და არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა ყრილობის შედეგების ბათილობის შესახებ. რამდენიმე თვეში, 2012 წლის ივლისში სასამართლო გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. დღეს სარჩელის ხელახლა პირველი მოსმენა გაიმართება და "განათლების ინტერნაციონალი" იმედოვნებს, რომ სასამართლო კვალავ 2012 წლის 25 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებას ძალაში დატოვებს", _ ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, "განათლების ინტერნაციონალი" გმობს სპმთპ-ის ხელმძღვანელის წინააღმდეგ განხორციელებულ მრავალგზის უკანონო ქმედებებს. კერძოდ, ახლო წარსულში მასწავლებელთა პროფკავშირს, სპმთპ-ის ჩამოერთვა შესაძლებლობა წევრთა საწევრო ანარიცხების ცენტრალიზებული გადარიცხვით მიღებისა და მოლაპარაკებების წარმოების უფლება. ამას გარდა, განათლების სისტემის ხელმძვანელები ხელს უწყობდნენ მასწავლებელთა ყვითელი პროფკავშირების აღმოცენებას. "განათლების ინტერნაციონალი" მიიჩნევს, რომ ამ ქმედებებმა დიდი ზიანი მიაყენა საქართველოში მასწავლებელთა პროფკავშირულ მოძრაობას. გადარჩენისათვის ბრძოლის ნაცვლად, მასწავლებელთა პროფკავშირს უპირატესად მიაჩნია, დიალოგითა და შეთანხმებებით ხელი შეუწყოს საქართველოში ხარისხიანი განათლებისა და სწავლების შესაბამისი პირობების შექმნას.

"კანონიერების დაცვასა და სამართლის პატივისცემას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირული საქმიანობის სამართლიან გარემოში გაგრძელებისათვის. "განათლების ინტერნაციონალი" იმედოვნებს, რომ სასამართლო იმოქმედებს დამოუკიდებლად. ევროკომისიის ბოლო ანგარიშში აღნიშნულია, რომ "სასამართლო დამოუკიდებლობა კვლავ პრობლემატური საკითხია" (ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება საქართველოში- 2012 წლის პროგრესი და რეკომენდაციები, გამოქვეყნებულია 2013 წლის მარტში). სოციალური დიალოგი დემოკრატიის ქვაკუთხედია. "განათლების ინტერნაციონალი" მხარს უჭერს ხარისხიანი განათლების ამაღლების მიზნით, განათლების სისტემაში გადაწყვეტილებების მიმღებებთან სპმთპ-ის მიერ, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე წარმოებულ საქმიანობას. საქართველოსთვის, როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ტრიპარტიული კომისიის წევრისათვის, აუცილებელი ფაქტორია დასაქმებულთა ორგანიზაციებთან, მათ შორის მასწავლებელთა პროფკავშირებთან კონსულტაციების წარმოება და მათი პოზიციის გათვალისწინება", _ ნათქვამია "განათლების ინტერნაციონალის" განცხადებაში, რომელიც მასწავლებელთა პროფკავშირების გლობალური ფედერაციას წარმოადგენს და 170 ქვეყნის 30 მილიონ მასწავლებელს აერთიანებს. ამ ორგანიზაციის წევრია საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირიც.

სასამართლო პროცესი "მარტოლეკი და სხვები საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წინააღმდეგ" სამი წელია გრძელდება. მოსარჩელეები 2010 წლის 30 ოქტომბრის რიგგარეშე საარჩევნო ყრილობაზე

პროფკავშირის პრეზიდენტად მაია კობახიძის არჩევის ბათილად ცნობას ითხოვენ. შემდგომ 91-მა დელეგატმა სასამართლოდან სარჩელი უკან გაიტანა. დარჩენილმა მოსარჩელე 30-მდე დელეგატმა კი 2012 წელს ახალი ორგანიზაცია "ზოგადი განათლების პროფესიული კავშირი" შექმნა.

მასალის გამოყენების პირობები